პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა
12 სექტემბერი
1954 წელი
№ 73 (775)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

მსოფლიო გუნდური პირველობა

მეთერთმეტე საჭადრაკო ოლიმპიადის მესამე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ავსტრიელ მოჭადრაკეებს. პირველ დაფაზე საბჭოთა გროსმაისტერი სმისლოვი თამაშობდა რობაჩთან. საბჭოთა ოსტატმა ძლიერად ჩაატარა შეხვედრა და დაამარცხა მოწინააღმდეგე. კერესმა მოუგო პრომესბერგს, ბეინ-ბრონშტეინისა და ლოკვენჩ-გელერის პარტიები მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა.

მეოთხე ტურში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები შეხვდნენ ჰოლანდიელ მოჭადრაკეებს. პირველ დაფაზე თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და ექს-ჩემპიონი მ. ეივე. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე დაფაზე ბრონშტეინმა ერთი ქულა შემატა თავის გუნდს. კოტოვმა შუა თამაშში ვერ შეამჩნია მოწინააღმდეგის მანევრი და რთულ პოზიციაში მოექცა. პარტია გადაიდო კოტოვისათვის უიმედო მდგომარეობაში. გადადებული პარტიების გათამაშებისას კოტოვმა თავი დამარცხებულად ცნო. შეხვედრის ანგარიშია 2 : 2.

ამრიგად, პირველ ჯგუფში წინ მიდის სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 13 ქულა აქვს 16 შესაძლებლიდან. ჰოლანდიას აქვს 10 ქულა.

ხუთი საკავშირო რეკორდი

ლვოვში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა სროლაში. შეჯიბრების მიმდინარეობის დროს დამყარებულ იქნა ექვსი ინდივიდუალური და ხუთი გუნდური საკავშირო რეკორდი.

საკავშირო პირველობის გათამაშებაში გამარჯვებული გამოვიდნენ უკრაინის მსროლელები. მეორე ადგი[illegible] წილად ხვდათ რსფსრ-ს 1-ლი [illegible]დის სპორტსმენებს, მესამე — მოსკოველ მსროლელებს.

საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში

საბჭოთა სპორტსმენებთან საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად სსრ კავშირში ჩამოვიდნენ რუმინეთის კლასიკური მოჭიდავეები, რომელთა შორის იყვნენ XV ოლიმპიური თამაშების პრიზიორი კუკი (მსუბუქი წონა), სტუდენტთა მსოფლიო თამაშების პრიზიორები: პოპოვიჩი, ონოიუ, ბუქორი და სხვები.

როსტოვის ცირკში რუმინელი მოჭიდავეები შეხვდნენ რსფსრ-ს სპორტსმენებს. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: „შრომითი რეზერვების" ჩემპიონი სოლოვიოვი (უმძიმესი წონა), საბჭოთა არმიის ჩემპიონი პოკიდაევი (საშუალო წონა), 1953 წლის მსოფლიო ჩემპიონი შატვორიანი (ქვემსუბუქი წონა), სპორტის ოსტატი ტრიუაკი და სხვები.

8-დან 7 შეხვედრა მოიგეს საბჭოთა მოჭიდავეებმა.

მოსკოველთა გამარჯვება

ტულაში რამდენიმე დღე გრძელდებოდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მოსკოვის ველოსიპედისტებმა.

ღირსეული ცვლა ოსტატებს

მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი 20 ათასი მაყურებელი მოუთმენლად ელოდება მოსკოვისა და საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების გადამწყვეტი შეხვედრის დაწყებას. 90 წუთის განმავლობაში ჭაბუკი ფეხბურთელები თავგამოდებით იბრძოდნენ პირველი ადგილისათვის. მწვრთნელებმა, ფეხბურთის ვეტერანებმა ერთხმად აღიარეს მათი მაღალი კლასი. გაზეთი „ტრუდი" წერდა: საქართველოს ნაკრები გუნდის დაცვა ფრიადზე თამაშობდა, თავდასხმა მოქმედებდა შეწყობილად, შესანიშნავი სტილით. მართლაც, ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირში მონაწილე გუნდებმა აჩვენეს თამაშის მაღალი კლასი. მაყურებელი მოხიბლეს ტექნიკისა და ტაქტიკის მრავალფეროვნებით. ამ გათამაშებამ ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს საიმედო რეზერვი ეზრდება.

ჩვენს ბავშვებს გატაცებით უყვართ ფეხბურთი. ისინი, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიან, ნამდვილი და თვითნაკეთი ბურთებით თამაშობენ ეზოებში, მინდვრებში, სკოლების მოედნებზე. „მატჩის" დამთავრების შემდეგ შეიკრიბებიან, მსჯელობენ ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ გუნდებსა და ფეხბურთელებზე, ადგენენ შემდეგი შეხვედრების გეგმებს. ფეხბურთის ნორჩ მოყვარულთა ინტერესი გასაგებია, რადგან სპორტის ეს სახეობა მიმზიდველი და ატლეტურია.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ფართო გაქანება ჰპოვა ბავშვთა ფეხბურთმა, სათამაშო მოედნები მოეწყო სკოლებში, შეიქმნა სპეციალიზებული საშუალო სკოლა, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დინამოსთან არსებული „ნორჩი დინამოელის" სკოლა. ყველაფერმა ამან დადებითი გავლენა იქონია რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელთა წარმატებაზე საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებებში. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მიერ უძლიერეს ჭაბუკ ფეხბურთელთათვის დაწესებული გარდამავალი თასი 3-ჯერ მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა, ასევე „ნორჩი დინამოელის" პირველობის საკავშირო გათამაშებაში სამჯერ გაიმარჯვა თბილისის გუნდმა.

მაგრამ საკმარისია მოპოვებული წარმატება? რასაკვირველია, არა. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ბავშვთა შორის ფეხბურთის მასობრივად განვითარებას. ამის მიზეზია რესპუბლიკის რაიონებში ბაზების სიმცირე, გამოცდილ მწვრთნელთა, სპორტინვენტარის ნაკლებობა. ზოგიერთი სკოლის დირექტორი იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას, ნორჩებს არ აძლევს საშუალებას იმეცადინონ სპორტის ამ სასარგებლო სახეობაში. ყოველივე ამას გულდამშვიდებით შეჰყურებენ ადგილობრივი განათლების ორგანოები, კომკავშირული, ფიზკულტურული ორგანიზაციები.

სურათზე: გაზეთ „ლელოს" ჯილდო, რომლისთვისაც რესპუბლიკის ჭაბუკთა რვა საუკეთესო გუნდი დღეს დაიწყებს შეჯიბრებას.

ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები. შეუწყნარებელია, რომ აჭარის გუნდი, რომელიც გასულ წელს რესპუბლიკის ჩემპიონი იყო, მიმდინარე წლის გათამაშებაში დაბალი შედეგით გამოვიდა.

კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელების აღზრდაში ჩამორჩენამ ერთგვარად იმოქმედა ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი გუნდების საკავშირო ჩემპიონატებში წარმატებაზე. თბილისის „დინამოს" გუნდის სათადარიგო შემადგენლობა სეზონის განმავლობაში ბოლო ადგილზეა, თამაშობს უფერულად, დაბალია თამაშის ტექნიკა და ტაქტიკა. სათანადო რეზერვის შეუფასებლობამ, ცხადია, დაღი დაასვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი გუნდის — „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა შედეგებს.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა „დინამომ". მან ფეხბურთის მოყვარული ჭაბუკებისათვის გამოჰყო სპეციალური საწვრთნელი საათები. ყველა მსურველს შეუძლია დანიშნულ დროს გამოცხადდეს „დინამოს" სტადიონზე და სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. პანიუკოვის ხელმძღვანელობით დაიწყოს ვარჯიში. შემდგომ ის ჭაბუკები, რომლებიც თავს გამოიჩენენ ჩაირიცხებიან „ნორჩი დინამოელის" სკოლაში. კარგი იქნება რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებებმა მიბაძონ „დინამოს", შექმნან დამწყებ ფეხბურთელთა სპეციალური ჯგუფები და მთელი გულისყურით მოეკიდონ ამ კეთილშობილურ საქმეს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჭაბუკ ფეხბურთელთა თამაშის კლასის ამაღლების, ჭაბუკებში სპორტის ამ სახეობის მასობრივად დანერგვისა და პოპულარიზაციის მიზნით გადაწყვიტა მოაწყოს ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრება გაზეთ „ლელოს" სპეციალურ ჯილდოზე. ასპარეზობა დაიწყება დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ეს ღონისძიება აუცილებლად სტიმულს მისცემს ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვთა შორის ფეხბურთის ფართოდ დანერგვას, გამოავლინებს ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენებს, რომლებთანაც გულმოდგინე მუშაობით მოკლე ხანში შევძლებთ ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი გუნდების ახალი მოთამაშეებით შევსებას.

უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჭაბუკ ფეხბურთელებთან მუშაობას, აღვზარდოთ მათგან მაღალტექნიკური ოსტატები.

ამას წინათ დამთავრებულ კალათბურთელთა საკავშირო პირველობაზე დაწესებული იყო სპეციალური ჯილდო ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელისათვის.

სურათზე: ამ საპატიო ჯილდოს მფლობელები ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელები ო. ქორქია (თბილისის „დინამო") და ნ. მაქსიმოვა (მოსკოვის „დინამო").

მოჭადრაკეთა კონგრესზე

ამსტერდამში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესმა, რომელმაც ერთსულოვნად მიიღო საბჭოთა კავშირის ფედერაციის წინადადება, რომ მორიგი XII საჭადრაკო ოლიმპიადა მოეწყოს მოსკოვში 1956 წელს. აგრეთვე დაადგინა, რომ ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის პრეტენდენტთა ტურნირი ჩატარდეს 1955 წელს მოსკოვში.

კონგრესმა ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისათვის საბჭოთა ოსტატებს ვ. კორჩნოის, რ. ნეჟმეტდინოვს, ს. ფურმანსა და რ. ხოლმოვს მიანიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება. გროსმაისტერ ი. ბონდარევსკის მიეკუთვნა საერთაშორისო მსაჯის სახელი.

ახალი ჩემპიონები

ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენები. სპორტის ამ სახეობის გამოჩენილ ოსტატებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ახალგაზრდა ჩოგბურთელები. ერთეულთა შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ქალთა შორის ე. ჩუვირინა, ვაჟებში — ს. ანდრეევი. წყვილთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ ს. ანდრეევი და ს. ბელიც-გეიმანი. ქალებში გაიმარჯვეს ე. ჩუვირინამ და ა. კუზმინამ, რომლებმაც ფინალში მოუგეს სპორტის დამსახურებულ ოსტატებს — თ. ნალიმოვასა და გ. კოროვინას.

შერეულ წყვილთა შორის ჩემპიონები გახდნენ კ. ბორისოვა და ს. ანდრეევი. გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა „დინამოს".

მძიმე და ქვემძიმე წონაში

მოსკოვში დამთავრდა შეჯიბრება ქვემძიმე და მძიმე წონის მოკრივეთა შორის. მატჩ-ტურნირში ძირითადად სხვადასხვა ქალაქებისა და სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდა მოკრივეები მონაწილეობდნენ.

ქვემძიმე წონის სპორტსმენთა შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ექსჩემპიონი სპარტაკელი ბ. ნაზარენკო, რომელმაც ფინალში მოუგო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კლუბის წარმომადგენელს ა. კატკოვს.

მძიმე წონის მოკრივეთა შეხვედრებში გაიმარჯვა დინამოელმა ვ. მუხინმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა თანაკლუბელი ს. ლიბერმანი.

◆

მშვიდობის პრემია ემილ ზატოპეკს

ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლის, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გმირის იულიუს ფუჩიკის გარდაცვალების მე-11 წლისთავის დღეს, 8 სექტემბერს, ჩეხოსლოვაკიის 1954 წლის მშვიდობის პრემიები მიენიჭათ გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ახალი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მშენებლობაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ჩეხოსლოვაკიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად მშვიდობის პრემია მიენიჭა მსოფლიო რეკორდსმენს ემილ ზატოპეკს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ახალგაზრდა სპორტსმენების რესპუბლიკური შეკრების შედეგების შესახებ

ბათუმში ჩატარდა ნიჭიერი ახალგაზრდების რესპუბლიკური შეკრება, სადაც ზოგიერთმა ახალგაზრდამ აიმაღლა თანრიგი, გაიუმჯობესა საკუთარი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლები. ამ არსებით შედეგთან ერთად შემოწმებით გამოირკვა, რომ შეკრების მსვლელობისას ადგილი ჰქონდა დიდ ნაკლოვანებებს: შეკრება არ იყო კარგად დაკომპლექტებული, ახალგაზრდები უზრუნველყოფილი არ იყვნენ კულტურული მომსახურებით, ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევებს, ცუდად იყო ორგანიზებული სასწავლო-საწვრთნელო პროცესი. შეკრებაზე ჩარიცხულ 142 ახალგაზრდიდან ნახევარზე მეტს მესამე თანრიგი ჰქონდა, ხოლო 26-ს — სრულიად არავითარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა შეკრება რესპუბლიკური მასშტაბისა იყო, მასში გააერთიანეს ძირითადად თბილისელები (133 კაცი).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, გარდა იმისა, რომ გულგრილობა გამოიჩინა შეკრების მონაწილეთა დაკომპლექტებაში, სათანადოდ ვერც მისი ხელმძღვანელი მუშაკები შეარჩია. შეკრების უფროსად დანიშნა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსის მოადგილე ახვლედიანი. მწვრთნელებად გაგზავნილ იქნენ სახელმწიფო მწვრთნელები ჭილაია და გიორგაძე. აღნიშნულნი მოწყვეტილ იქნენ თავიანთ ძირითად სამუშაოს. მწვრთნელებად სპორტის ცალკეულ სახეობებში მუშაობდნენ არაკვალიფიციური მუშაკები (ვართანოვი, დარახველიძე).

შეკრების ხელმძღვანელობას არ ჰქონდა შედგენილი საერთო საწვრთნელო გეგმა, ამიტომ მეცადინეობა არსებული წესების უხეში დარღვევით მიმდინარეობდა, არ ჩატარებულა მწვრთნელთა თათბირი.

შეკრების მონაწილეები ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე ცხოვრობდნენ სხვადასხვა სასტუმროში, ამიტომ ადგილი ჰქონდა სასტუმროს მომსახურე პერსონალისადმი უხეშ მოპყრობას, სახელმწიფო ინვენტარისადმი გაუფრთხილებლობას. შეკრების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას.

ფიზკულტურისა და სპორტის აჭარის კომიტეტის უფროსი ბუხჰალტერი იოსელიანი, შეკრების უფროსი და მისი მოადგილე მოისწრაფიშვილი უხეშად არღვევდნენ საკვები ტალონების გაცემისა და მათზე უწყისების შედგენის დადგენილ წესებს. 34 უწყისიდან 19 უწყისი გადასწორებულია, 19 უწყისიდან 18 კაცის გვარი მთლიანად ამოშლილია. ზოგიერთი მწვრთნელის (ვართანოვი და ყირმელაშვილი) მიერ ტალონის მიმღებთა ხელმოწერით უწყისები შედგენილია წინასწარ, საკვები ტალონები არ არის დათარიღებული, მათ გაცემაზე არ დგებოდა ყოველდღიურად აქტი.

ყოველივე ზემოთქმულზე ამას წინათ იმსჯელა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, რომელმაც **დაადგინა:**

ნიჭიერ ახალგაზრდობის რესპუბლიკურ შეკრებაზე სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის ჩაშლისათვის შეკრების უფროსი შ. ახვლედიანი მოიხსნას სამუშაოდან, სათანადო სასჯელი დაედოს სახელმწიფო მწვრთნელს გ. ჭილაიას. კომისიის მიერ შეკრებილი მასალა გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

კომიტეტის საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსს დაევალა სასტიკი კონტროლი გაუწიოს მასობრივ-სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად სახელმწიფო თანხების გაცემას, სპორტულ საზოგადოებებს აეკრძალათ საწვრთნელი შეკრებების ჩატარება კომიტეტის სანქციის გარეშე.

უსახელო მწვერვალზე

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპინისტთა კლუბმა ჩვენი ქვეყნის სხვა ცნობილ ალპინისტებთან ერთად მოაწყო ექსპედიცია პამირის მთაგრეხილზე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპური კლუბის სტუდენტებიც.

ლაშქრობის დროს სტუდენტებმა დაძლიეს შახდარის ქედის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 6.147 მეტრს უდრის და მიაკუთვნეს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი.

დაუდევრობის შედეგი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების სახელმწიფო გეგმა ორჯონიკიძის რაიონში არ შესრულდა. ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი მუშაკები ნაკლებად ზრუნავენ სპორტული ბაზების კეთილმოწყობისათვის.

აღნიშნულ სხდომაზე ლაპარაკი იყო სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორის ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივში (თავმჯდომარე ა. გოგოშვილი) შექმნილ შეუწყნარებელ მდგომარეობაზე. აქ მთლიანად ჩაშლილია ფიზკულტურული საქმიანობა, კანტორის ვრცელ ტერიტორიაზე არაა სპორტული მოედანი, ახალგაზრდები მოკლებული არიან ასპარეზობის საშუალებას. ეს საკითხი კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი გ. გოგიბერიძე) კრებაზეც განიხილეს. გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით მოეწყოთ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები. შ. გელაშვილმა კალათბურთის ფარების დამზადება და დადგმა ივალდებულა. დანარჩენებმა კი რამდენჯერმე მოაწყვეს კვირაობა და მიწა მოასწორეს. მაგრამ დირექტორმა ბრძანა, შეეწყვიტათ „უსარგებლო" საქმიანობა და აღნიშნულ ადგილზე მანქანები დააყენებინათ.

სამგზავრო ავტოტრანსპორტის კანტორას შტატით 850-ზე მეტი კაცი ჰყავს, მათში ბევრია ფიზკულტურის მოყვარული, ფიზკულტურული მუშაობა კი ჩამკვდარია. მთელი წლის მანძილზე არ სრულდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა. წელს მათ პირველი საფეხურის 20 ნიშნოსანი უნდა მოამზადონ, მეორისა — 15, მიუხედავად იმისა, რომ წელი მიიწურა, აქ ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. თანრიგოსნების მომზადებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აქ ისიც კი არ იციან, თუ როგორ დგება სპორტული ღონისძიებების გეგმა, არა აქვთ ძირეული ფიზკულტურული საბჭოს შემადგენლობა, განიცდიან სპორტინვენტარის ნაკლებობას, არავინ ფიქრობს საწევრო ანარიცხების აკრეფაზე.

ფიზკულტურის რაიონული კომიტეტიდან დასახმარებლად მისულებს წარმოების ხელმძღვანელობა არად აგდებს: თქვენ საქმეს მიხედეთ, ჩვენს ნაკლოვანებებს ჩვენვე გამოვასწორებთო, — ამბობენ ისინი.

კი, მაგრამ, როდისღა?

ვ. ჟუშიტაშვილი

მეორე სპარტაკიადა

დამთავრდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს მეორე სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის ექვსი სახეობა.

მშთ მრავალჭიდის მონაწილეთა შეჯიბრება ჩატარდა თბილისში. რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა აფხაზეთის ასსრ გუნდმა. პირად პირველობაში გაიმარჯვა იუსბამ (აფხაზეთი).

ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში, რომელიც ნატახტარის მიდამოებში ჩატარდა, მხოლოდ ოთხი გუნდი მონაწილეობდა, ამიტომ შეჯიბრება სპორტულად უინტერესო და დაბალშედეგიანი იყო. გუნდური პირველობა მიეკუთვნა აჭარის სპორტსმენებს. პირად პირველობაში საგზაო ველოსიპედებით ქალთა შორის 20 და 25 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა აჭარელმა ვინიჩენკომ. ვაჟთა შორის 50 კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე მოკლე დროში დაამთავრა ა. კოსარევმა (აფხაზეთი). მისი შედეგია 1.27 : 13,4. 150 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა აჭარის წარმომადგენელმა კიწურაშვილმა (5.17 : 53).

დაბალი შედეგებით აღინიშნა შეჯიბრება ცურვაშიც, რომელიც ბათუმში ჩატარდა. შეჯიბრებაში მხოლოდ ზღვისპირა რაიონების გუნდები მონაწილეობდნენ. გუნდური პირველობა მიეკუთვნა აჭარის გუნდს. მეორე — აფხაზეთს, მესამე — ფოთს.

შედარებით მრავალრიცხოვანი იყო და საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში. 100 მეტრზე რბენაში, როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის ჩემპიონები გახდნენ მახარაძელები ე. დოლიძე და რ. კეჭაყმაძე. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა ა. ბობროვამ (აფხაზეთი), ვაჟთა შორის—ფ. სიდამონიძემ (თელავი). ვაჟთა ამანათრბენი 4×100-ზე დამთავრდა გეგეჭკორის გუნდის გამარჯვებით. ქალთა ამანათრბენში ჩემპიონი გახდა ბორჯომის გუნდი. ქალთა ხუთჭიდში რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვა მ. ძიკევიჩმა (აფხაზეთი).

სპარტაკიადაში საერთო I ადგილი მიეკუთვნა აფხაზეთის სპორტსმენებს.

სურათზე: 800 მეტრზე რბენის მონაწილენი დისტანციაზე.

სოფლის ახალგაზრდობის შეჯიბრება

დამთავრდა აჭარის ასსრ სოფლის ახალგაზრდობის 1954 წლის პირველობის გათამაშება მძლეოსნობასა და ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს შუახევის, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების გუნდებმა.

ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავა ქობულეთის რაიონის ვაჟთა გუნდმა. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ქობულეთელმა ა. თავართქილაძემ, ხოლო ქალთა შორის — ნ. დუმბაძემ (ბათუმის რაიონი). 200 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ნ. ვარშანიძემ, ქალთა შორის გაიმარჯვა ა. ბალაძემ. ვაჟთა შორის 400 მეტრზე რბენაში აჭარის ჩემპიონი გახდა ბ. მანჩხაშვილი (ბათუმის რაიონი), ქალთა შორის კი ქედელი მ. ვარდანიძე.

ბირთვის კვრაში პირველი ადგილი დაიკავა გ. ხალვაშმა (ბათუმის რაიონი), გოგონებს შორის — ა. კოლესნიკოვამ (შუახევი). ვაჟებს შორის ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა ნ. მახარაძემ (ქედა), ხოლო შუბი—ზ. ტაკიძემ (ქობულეთი). სამხტომში პირველ ადგილზე გამოვიდა ა. ხომიჩევი (ბათუმის რაიონი).

მძლეოსნობაში გუნდური პირ[illegible] ადგილი დაიკავა ბათუმის რაიო[illegible] გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქედელი, ხოლო მესამეზე — ქობულეთელი სპორტსმენები.

პ. მახვილაძე

სახელოვანი თარიღი

◆

ფაშისტური უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 10 წლისთავი

◆

1944 წლის 9 სექტემბერს უძლეველმა საბჭოთა არმიამ, რომელიც ჰიტლერელ ოკუპანტებისაგან ათავისუფლებდა ევროპის ხალხებს, ფაშისტთა მონობისაგან იხსნა ბულგარელი ხალხი. როდესაც საბჭოთა არმიის ნაწილებმა ბულგარეთის საზღვარი გადალახეს, აქ დაიწყო არსებული წყობილების საწინააღმდეგო აჯანყება, რომელსაც სახალხო ფრონტი ხელმძღვანელობდა. ბულგარეთში ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდა.

10 წელი გავიდა ამ დღიდან და ამ ხნის განმავლობაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ თავის ისტორიაში არნახული წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ბულგარეთი გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგებთან ერთად სწრაფად ვითარდება ფიზკულტურა და სპორტი. იგი ამ ქვეყნის მშრომელების ფიზიკურად გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. ბულგარეთში ფიზკულტურა და სპორტი მასების კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად იქცა. ბულგარეთის სპორტსმენებისა და ფიზკულტურული კოლექტივების წარმატებას ხელს უწყობს კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა და მხარდაჭერა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დადგენილებანი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ.

მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის სწრაფმა ამაღლებამ ბულგარეთის ახალგაზრდობას საშუალება მისცა მასობრივად ჩაბმულიყვნენ ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში. ისინი სისტემატური მეცადინეობით ეუფლებიან სპორტულ ოსტატობას, აბარებენ მშთ ნორმატივებს, იმაღლებენ თანრიგს. ბულგარელი სპორტსმენების წარმატებებზე მეტყველებს ის, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მომზადებულია 200 ათასამდე თანრიგოსანი, აქედან 200 კაცი სპორტის ოსტატია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ქვეყნის სპორტსმენების მიერ გაუმჯობესებულ იქნა 650-ზე მეტი ეროვნული რეკორდი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამას ხელს უწყობს საწარმოთა და სოფლის მუშაკთა სპარტაკიადები, პროფკავშირული კროსები, მოსწავლეთა მასობრივი შეჯიბრებები და სხვ., რომლებიც ბულგარეთში სისტემატურად იმართება.

ომამდელ ბულგარეთში ტანვარჯიში ძალზე სუსტად იყო კულტივირებული. ამჟამად ტანვარჯიშის სექციებში მეცადინეობს 50 ათასზე მეტი ახალგაზრდა. შექმნილია სპორტის ამ სახეობის 30 ახალგაზრდული სპორტული სკოლა. ბულგარელმა ტანმოვარჯიშეებმა მაღალი ოსტატობა გამოავლინეს როგორც თავიანთი ქვეყნის პირველობაზე, ისე მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებში. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბერლინის ფესტივალში მათ საბჭოთა სპორტსმენების შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ბუქარესტის ფესტივალზე ამ ქვეყნის ვაჟთა გუნდი მესამე ადგილზე გამოვიდა. წარმატებას აღწევენ აგრეთვე მძლეოსნები. სახალხო ხელისუფლებამდე მძლეოსნობის სპორტს ახალგაზრდობის მცირე ნაწილი მისდევდა, ამჟამად ფაბრიკა-ქარხნებსა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილ მძლეოსნურ სექციებში სპორტის ამ სახეობას 10 ათასობით ახალგაზრდა ეუფლება. ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენმა კოლევმა ერთ-ერთ შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში აჩვენა შესანიშნავი დრო — 10,4 წამი.

სპორტის მრავალ სახეობათაგან ყველაზე პოპულარულია ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი. უკანასკნელ წლებში ფეხბურთის მოთამაშეთა რიცხვმა 100 ათას კაცს გადააჭარბა. რესპუბლიკის პირველობის გარდა, რომელშიც „ა" კლასის 14 და „ბ" კლასის 60 გუნდი მონაწილეობს, ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა არმიის სახელობის თასის გათამაშება. ამ მასობრივ სპორტულ ღონისძიებაში ათასობით კოლექტივი ასპარეზობს. ბულგარეთის გუნდები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო მასშტაბის შეხვედრებში. ამას წინათ საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო ბულგარეთის ნაკრები გუნდი. მოსკოვის ნაკრებთან ორ შეხვედრაში ბულგარელებმა ერთი ფრედ დაამთავრეს, მეორეში კი გამარჯვებულნი გამოვიდნენ. სტუმრებმა დამარცხება განიცადეს მხოლოდ კიევის „დინამოსთან".

ბუდაპეშტში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო თამაშებში წარმატება მოიპოვეს ბულგარეთის ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა. ფრენბურთელ ვაჟთა და კალათბურთელ ქალთა გუნდებმა დაიმსახურეს თამაშების ჩემპიონის სახელი, ვაჟთა კალათბურთის კოლექტივი კი მეორე ადგილზე გამოვიდა.

ბულგარეთის ეროვნული სპორტისა და ამ ქვეყნის სპორტსმენთა წარმატებას ხელს უწყობს დიადი საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან და ცალკეულ მწვრთნელებსა და სპორტსმენებთან მჭიდრო კავშირი. გიორგი დიმიტროვის სახელობის ფიზკულტურის უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა დაოსტატებას ხელს უწყობენ საბჭოთა მასწავლებლები და მწვრთნელები, რომლებიც ენერგიის დაუზოგავად იღწვიან ბულგარეთის სპორტის მომავალ სპეციალისტთა აღზრდისათვის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავს ამ ქვეყნის ხალხი შეხვდა შრომასა და სპორტში ახალი წარმატებების მოპოვებით. ბულგარელი მშრომელები დიდი პატრიოტული გრძნობით იბრძვიან თავიანთი ქვეყნის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის მითითებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ბ. ჯანდიერი

გავამრავლოთ, დავიცვათ სანადირო ფაუნა

ყოველ დასვენების დღეს ათიათასობით მონადირე გადის ქალაქიდან. მიდიან მატარებლებით, ავტომანქანებით, ავტობუსებით; მიდიან თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან... მიდიან ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან.

თვითეულ მონადირეს საკუთარი ჯგუფი ჰყავს. შუა კვირიდან იწყება მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ სად უფრო ბევრია ნადირ-ფრინველი, სად და რითი სჯობია წასვლა. ზოგი დენთის ნაკლებობას უჩივის, ზოგს სათანადო ზომის საფანტი აქვს საძებარი, ზოგს ფრინველზე ნადირობა არაფრად მიაჩნია და მდევრებით ნადირობაზე არის გადაყოლილი. მათი სანადირო დღეები ოქტომბერში დადგება. ისინი ტყის სტუმრებია. მათ იტაცებს მინდვრებში განავარდებული ძაღლების გაბმული ყეფა, თუ გინდ ამ ყეფამ უშედეგოდ ჩაიაროს, თუ გინდ ასეთი ნადირობის ვერც ერთმა მონაწილემ ბუნაგიდან აგდებული ნადირი ვერ დააზიანოს.

საქართველოში 30 ათასზე მეტ მშრომელს უჭირავს ხელში სანადირო თოფი და სეზონის დაწყებიდან მის დამთავრებამდე გართულია ამ შესანიშნავი სპორტით. ნადირობა აჩვევს ადამიანს ამტანობას, ორიენტირებას, აცნობს მას ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან ბუნებას, აჩვევს ზუსტ სროლას, უვითარებს ნერვულ სისტემას და სხვ.

ისე, როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ნადირობის მოწესრიგების საქმე ჩვენში სახელმწიფოს ხელშია. მონადირის უშუალო ინტერესია ხელი შეუწყოს ნადირისა და ფრინველის გამრავლებას, აწარმოოს მისი მიზანშეწონილი ექსპლოატაცია, არავითარ შემთხვევაში არ დაარღვიოს სახელმწიფოს მიერ შემოღებული ნადირობის წესები და ვადები, არ იფიქროს მარტო დღევანდელზე, გაითვალისწინოს ხვალინდელი დღეც.

ჩვენი ქვეყნის მონადირეთა უმრავლესობა რასაკვირველია შეგნებულად უყურებს ნადირის დაცვისა და გამრავლების საქმეს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მონადირე, რომელიც არ იცავს ნადირობის წესებს და ვადებს. ასეთი „თოფიანი კაცი" სრულიად არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, ხარბობს.

მონადირეების ეს ნაწილი არ სჯერდება დილით მოკლულ 20 მწყერს, ან 5 კაკაბს, ან 3 კურდღელს. აგვისტოს პაპანაქება სიცხეში არ ზოგავს არც ძაღლს და არც თავის თავს, დილიდან საღამომდე დადის, რათა კიდევ დაუმატოს ნადავლს, გააორკეცოს, გაასამკეცოს იგი. ესვრის ყველა მდგომარეობაში. არ ანგარიშობს არც მანძილს, არც თავისი თოფის შესაძლებლობას, მეტ წილად ასახიჩრებს ნადირს, კარგავს მას, ხდის მტაცებელთა ულუფად.

ცუდადაა სანადირო ფაუნის დაცვის საქმეც. კურდღელზე, კაკაბსა და გნოლზე ნადირობა მხოლოდ ოქტომბერში იწყება. ზოგი მონადირე არ ერიდება აგვისტოშიც კი მოკლას კურდღელი.

სექტემბრის დასაწყისში უდაბნოს მეცხოველეობის მუშაკებმა და მწყემსებმა კაკაბზე მონადირეების რამდენიმე ჯგუფი ნახეს. იორის ნაპირებზე „მონკავშირის" ყორულის სანადირო მეურნეობის მცველებმა რამდენიმე მონადირე დააკავეს აკრძალულ ზონაში. მწყერზე ნადირობის მომიზეზებით ეს ვაჟბატონები ხოხბებს ესროდნენ. არ ინდობდნენ იორის ნაპირებზე შემორჩენილ თითო-ოროლა დურაჯს. თუმცა მათ კარგად იცოდნენ, რომ ხოხბისა და დურაჯის მოკვლა საერთოდ აკრძალულია.

ცხადია, შეუძლებელია, ჩვენი ქვეყნის მრავალ სანადირო ადგილებში გასულ ათიათასობით მონადირეს თვალყურის მდევნელი მივუჩინოთ. თვითეულ მათგანს „საკუთარი მონადირული სინდისი" და მოქალაქეობრივი მოვალეობა უნდა უკრძალავდეს ნადირის ან ფრინველის უდროო დროს მოკვლას.

ასეთ მონადირეს ბრაკონიერს უწოდებენ. ბრაკონიერია ყველა ის, ვინც არღვევს სანადირო ვადებსა და წესებს, ანუ უდროო დროს და ნებადართულზე მეტი რაოდენობით ჰკლავს ნადირსა და ფრინველს, სანადირო ფაუნით სარგებლობისათვის არ იხდის დაწესებულ სახელმწიფო ბაჟს, არ არის გაერთიანებული სამონადირეო ორგანიზაციაში. სამწუხაროდ, ასეთი „მონადირეები" საქართველოში მრავალია.

როგორ ვიბრძვით მათ წინააღმდეგ, რა ღონისძიებებს ვღებულობთ, რომ ავლაგმოთ ეს ხალხი, შევიტანოთ მათში ნადირობის კულტურა? გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ არც მონადირეთა საზოგადოებრიობა, არც სახელმწიფო სამონადირეო ინსპექცია და არც სატყეო დაცვა, რომელსაც დავალებული აქვს ეს საქმე, თითქმის არაფერს აკეთებს ნადირობის წესებისა და ვადების დაცვისათვის. ის მცირერიცხოვანი შემთხვევები, რომლებიც აღნუსხულია სამონადირეო ინსპექციისა და სატყეო დაცვის მიერ — წვეთია ზღვაში.

საქართველოში არ გამოდის სამონადირეო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია კულტურული ნადირობის ჩვევათა გასავრცელებლად, აღარ გამოდის ერთ დროს არსებული ერთთვიური ჟურნალი „მონადირე", რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდა მონადირეთა შორის და დიდად უწყობდა ხელს სანადირო სპორტის განვითარებას, სანადირო ფაუნის შენარჩუნებასა და გამრავლებას.

მონადირეთა აღრიცხვისა და მათი სამონადირეო ორგანიზაციაში გაერთიანების საქმე არ არის დაყენებული სათანადო დონეზე. საქართველოს მონადირეთა კავშირი აერთიანებს 30 ათასამდე მონადირეს. თუ მეტი არა, ამ რიცხვის ნახევარი მაინც კავშირის გარეშეა დარჩენილი. ყველა ესენი ბრაკონიერთა რიცხვს უნდა მივუმატოთ, ვინაიდან მათ ნადირობის უფლება არა აქვთ. ჯერ კიდევ მოუგვარებელია მონადირეთა მომარაგების საქმე აუცილებელი სანადირო მასალით, დენთითა და საფანტით.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები რომ გამოსწორდეს, საჭიროა აღირიცხოს ყველა მონადირე. შევქმნათ თვითეულ ქარხანაში, ფაბრიკაში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მონადირეთა ჯგუფები და კოლექტივები, მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ საქართველოს მონადირეთა კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებსა და რაიონულ მონადირეთა ამხანაგობებთან, მოვაწყოთ კოლექტიური ნადირობა, გავაცნოთ ახალბედებს ნადირობის წესები და ვადები.

სახელმწიფო სამონადირეო მეთვალყურეობის აპარატისა და სატყეო დაცვის მუშაკების გარდა, სანადირო ვადებისა და წესების დაცვაში უნდა ჩავაბათ კოლმეურნეობათა აქტივი და მათი დახმარებით აღვკვეთოთ ბრაკონიერობა.

ამ ღონისძიებათა გატარებით უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი სანადირო ფაუნის შენარჩუნება-გამრავლებას, ნადირობის — ამ მამაცთა სპორტის შემდგომ განვითარებას.

ვ. ბურჯანაძე,

საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

შეჯიბრება შაშში

სამ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება შაშში გორის საქალაქო გაზეთ „სტალინელის" პირველობაზე. შეჯიბრებაში, რომელიც ორ წრედ მოეწყო, მონაწილეობდა რვა კაცი.

11,5 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა შ. წეროძე, ჩემპიონს ერთი ქულით ჩამორჩა ე. ხუციშვილი.

ე. ხუციშვილი

სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში

მდგომარეობა 12 სექტემბრისათვის

1. ოფიცერთა სახლი (ლვოვი)
2. „კრ. სოვეტ." (კუიბიშ.)
3. „პიშჩევიკი" (მინსკი)
4. „ხიმიკი" (მოსკოვი)
5. „დინამო" (მოსკ. საკლუბო)
6. „ზენიტი" (ლენინგრადი)
7. „ლოკომოტ." (მოსკოვი)
8. „სპარტაკი" (ტაშკენტი)
9. „სპარტაკი" (მოსკოვი)
10. „დინამო" (მოსკოვი)
11. „დინამო" (კიევი)
12. „სპარტაკი" (ვილნიუსი)
13. „ტორპედო" (როსტოვი)
14. ცდსა
15. „ტორპედო" (მოსკოვი)
16. ოფ. სახლი (ხაბაროვსკი)
17. „შახტ". (მოსბასი)
18. „სპარტაკი" (ერევანი)
19. „სპარტაკი" (მინსკი)
20. ოფ. სახლი (კიევი)
21. „შახტიორი" (სტალინო)
22. „დინამო" (თბილისი)
23. „ლოკომოტ." (ხარკოვი)
24. „სპარტაკი" (უჟგოროდი)
25. „მეტალურგი" (დნეპროპეტ.)
26. „ისკრა" (ფრუნზე)
27. „ტორპედო" (გორკი)
28. ქ. მოლოტოვი
29. „შრ. რეზერვ." (ლენინგრ.)
30. ოფ. სახლი (ლენინგრ.)
31. „ბურევესტ." (კიშინიოვი)
32. ოფ. სახლი (თბილისი)



1/16 ფინალის შემდეგი თამაშები ჩატარდება სექტემბერში. ითამაშებენ 12 სექტემბერს — „შახტიორი" (სტალინო) — „დინამო" (თბილისი). 16. — ოფიცერთა სახლი (ლვოვი)— „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი). 17. — „ტორპედო" (მოსკოვი) — ოფიცერთა სახლი (ხაბაროვსკი). 19. — „დინამო" (კიევი) — „სპარტაკი" (ვილნიუსი), 23. — „შახტიორი" (მოსბასი)— „სპარტაკი" (ერევანი).

თამაშები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი „ა" კლასი

მდგომარეობა 12 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" მნ.	23	12	6	5	28:21	30
„დინამო" მ.	21	12	5	4	36:16	29
„შრ. რეზერ."	24	8	10	6	29:25	26
„დინამო" კ.	23	8	9	6	30:28	25
„სპარტაკი" მ.	19	11	2	6	39:21	24
„ზენიტი" ლ.	23	8	7	8	27:25	23
„დინამო" თბ.	24	9	5	10	38:47	23
„ტორპედო" მ.	23	8	6	9	32:31	22
ცდსა	23	7	8	8	29:29	22
„ლოკომოტ." მ.	23	7	7	9	19:18	21
„კრ. სოვეტ."	23	7	6	10	19:25	20
„ლოკომოტ." ხ.	23	6	5	12	18:36	17
„ტორპედო" გ.	24	3	8	13	17:39	14

დღეს «დინამოს» სტადიონზე

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე იწყება საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა შეჯიბრება ჩვენი გაზეთის ჯილდოზე. ერთმანეთს ხვდებიან: 11 საათზე — საქართველოს მეორე ნაკრები—35-ე საშუალო სკოლის მეორე გუნდი; 13 საათზე — „ნორჩი დინამოელის" 11 და 35-ე სკოლის პირველი გუნდები; 15 საათზე — „ნორჩი დინამოელი" (საკავშირო პირველობაში გამარჯვებული) და საქართველოს მესამე ნაკრები; 17 საათზე— საქართველოს პირველი ნაკრები და ზუგდიდი.

საბჭოთა ფეხბურთელების ბრწყინვალე გამარჯვება

8 სექტემბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე კვლავ თავი მოიყარა 80 ათასმა მაყურებელმა. ისინი მოვიდნენ სსრ კავშირისა და ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის შვეციის ნაკრების შეხვედრის საყურებლად. მოედნის ცენტრისაკენ გაემართნენ მატჩის მსაჯები ვილიამ ლინგი (კემბრიჯი) და მისი თანაშემწეები — მარტინ მაცკო (ჩეხოსლოვაკია) და ფოლკე ნიუბერგი (ფინეთი).

შვეციის ნაკრებში თამაშობდნენ: კ. სვენსონი, კ. ანდერსონი, ო. ბერგმარკი, ს. სვენსონი, ბ. გუსტავსონი, ი. ლინდი, კ. ხამრინი, ნ. სანდელი, ი. ერიქსონი, ხ. ტილბერგი და გ. სანდბერგი. საბჭოთა სპორტის სახელს იცავდნენ ლ. იაშინი, ნ. ტიშჩენკო, ა. ბაშაშკინი, ი. სედოვი, ა. პარამონოვი, ი. ნეტო, ბ. ტატუშინი, ა. ლოლობერიძე, ნ. სიმონიანი, ს. სალნიკოვი და ა. ილინი.

შეხვედრა დაიწყო მასპინძელთა შეტევით. მეხუთე წუთზე ილინმა მოედნის შუაგულიდან ბურთი გადასცა სალნიკოვს, მან სიმონიანს და ამ უკანასკნელმა იგი მოწინააღმდეგის კარის ბადეში გაგზავნა. მერვე წუთზე სიმონიან-ტატუშინი-ილინის კომბინაციის შემდეგ ილინი ძლიერი დარტყმით ზრდის ანგარიშს — 2:0.

საბჭოთა გუნდის შეტევა გრძელდება. სტუმრების მეკარე და დაცვა მთელი დატვირთვით მუშაობენ. 27-ე წუთზე ლოლობერიძემ უძლიერესად დაარტყა კარში. ბურთს გადაეღობა ბენტი გუსტავსონი. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ნოკაუტში ჩავარდა. შემდეგ ანდერსენმა სცადა მისი შეჩერება, მაგრამ ამაოდ, ბურთი ბადეში გაეხვია — 3:0. სტუმრებმა გუსტავსონის მაგივრად მოედანზე გამოიყვანეს სამუელსონი. შესვენებამდე ათი წუთით ადრე ილინისაგან მიწოდებული ბურთი ლოლობერიძემ ლამაზი და შეუჩერებელი დარტყმით სტუმრების ბადეში გაგზავნა — 4:0.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა არ იცვლება. საბჭოთა ფეხბურთელები უეცარი და მრავალფეროვანი კომბინაციებით ავიწროებენ მოწინააღმდეგის დაცვას. მე-18 წუთზე ლოლობერიძისაგან ზუსტად მიწოდებულ ბურთს სალნიკოვი კარში გზავნის. შემდეგ სტუმრების კარისაკენ ტატუშინი გაიჭრა და ბურთი გადააწოდა სიმონიანს, რომელიც რამდენიმე მცველთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და ანგარიში 6-მდე გაზარდა. მალე ტატუშინი ზუსტად აწვდის ბურთს სალნიკოვს და იგი კვლავ ერთი ბურთით ადიდებს ანგარიშს — 7:0.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ცდსა — „ზენიტი" (ლენინგრადი)

გუშინ მოსკოვში ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის ცდსა და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 27 ივნისის ნომერში დაიბეჭდა მამხილებელი წერილი „ამინდის მოლოდინში", რომელშიც აღნიშნულია, რომ თელავის რაიონში არ ზრუნავენ სპორტული ბაზების კეთილმოწყობისათვის.

როგორც საქართველოს კ. პ. თელავის რაიკომის მდივანი ა. უთიაშვილი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიება.

• • •

ჩვენი გაზეთის 8 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით „ვმეცადინეობთ ანტისანიტარულ პირობებში".

როგორც „პიშჩევიკის" რესპუბლიკური საბჭოს სპორტული დარბაზის დირექტორი ნ. ზიბი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სინამდვილეს შეესაბამება. ამჟამად აღნიშნული ნაკლოვანებანი აღმოფხვრილია.

მათი ხსოვნის აღსანიშნავად

...სამნი მიიკვლევდნენ გზას თეთნულდის მარადთოვლიან ციცაბო კალთებზე, ყინულში წერაყინებით ჭრიდნენ საფეხურებს, მოთმინებით ამოკლებდნენ მანძილს მწვერვალამდე. უცებ ერთ-ერთს ფეხი დაუცდა და დაქანდა უფსკრულისაკენ, მეორე წერაყინით შეეცადა მის შეჩერებას, მაგრამ ვერას გახდა, მაშინ ხელი გაუწოდა... ორივე ერთად მოწყდა ადგილს... ნაპრალში გადაიჩეხნენ. დაიღუპნენ გმირი მთასვლელები — სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი, გადარჩა საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი — გიორგი ნიკოლაძე. „პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი, დროშა—ყველაფერი ჩაცვივდა მყინვარის ძირში... შეწყდა ხმაური, დადუმდა ყველაფერი და მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში“. ასე აღწერს გიორგი ნიკოლაძე თეთნულდზე მომხდარ ტრაგედიას.

ეს იყო 1929 წლის 27 აგვისტოს.

* * *

...თეთნულდის ძირში კვლავ გაიშალა კარავი. ალპინისტებმა გადალახეს ნაგების მყინვარი, 60 გრადუსით დაქანებულ ფერდობს შეუდგნენ. მდუმარებით იდგნენ იმ ადგილას, სადაც პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე დაიღუპნენ. დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად სვან მონადირეებს იქ ვეება ქვებისაგან მაღალი ნიში დაუდგამთ. ქუდები მოიხადეს ალპინისტებმა, პატივი სცეს და გაბედულად გაემართნენ თეთნულდის დასაპყრობად.

მიუკარებელი მწვერვალი ნისლში იყო გახვეული, ტყვიისფერი ღრუბლები მუქარით ჩამოწოლილიყვნენ, მაგრამ შურისმაძიებლებს რა შეაჩერებდათ! რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ ოთხმა ფეხი დადგა მწვერვალზე. ესენი იყვნენ სიმონ ჯაფარიძის დაძმა, შემდგომ ცნობილი მთასვლელები, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, მოხევე იაგორა კაზალიკაშვილი და სვანი აღსილ ავალიანი.

დაიმსხვრა თეთნულდის მიუვალობის მითი—„ღმერთთა სავანემ“ ქედი მოიხარა გმირი მთასვლელების წინაშე...

ეს იყო 1930 წლის ივლისში.

* * *

ტყის პირას, საიდანაც თეთნულდის მწვერვალი მთელი თავისი სიდიადით მოჩანდა, ბანაკი დასცა ალპინისტმა დიმიტრი ობოლაძემ. მისი ჯგუფი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ სპორტსმენებისაგან შედგებოდა.

დიმიტრი ობოლაძე მესტიიდან ალექსანდრა ჯაფარიძეს და მარინა უთმელიძეს ელოდა. ალექსანდრას უნდა ეხელმძღვანელა სიმონ ჯაფარიძისა და პიმენ დვალის ხსოვნისადმი მიძღვნილ თეთნულდის იერიშისადმი. ხანდაზმული ალპინისტი ქალი უნდა გაძღოლოდა ახალგაზრდებს. დიდხანს არ დაჭირდათ ლოდინი. შუა დღე იქნებოდა, როდესაც ბანაკს ალექსანდრა და მარინე ეწვივნენ. იმავე დღის გადაწყდა: დილით აეშალათ ბანაკი და ზღვის დონიდან 3.500 მეტრის სიმაღლეზე გადაეტანათ. ინათა თუ არა, ცამეტმა ალპინისტმა გადალახა ალპური ზონა და მარადიული თოვლისა და ყინულის სამყაროში შევიდნენ.



სურათზე: სვანური კოშკი. შორს მოჩანს მწვერვალი თეთნულდი.

თოვლზე ფეხის დადგმისთანავე შვება იგრძნო საბჭოთა ალპინიზმის ვეტერანმა — ალექსანდრამ, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნა მხრებიდან, ახალგაზრდული ენერგიით მიიკვლევდა გზას... როცა საიერიშო ბანაკს მიუახლოვდნენ, შედგა.

— ეჰ, მე და აღსილი დავრჩით თეთნულდის პირველ ამსვლელთაგან.—თქვა მან. — აღსილი უკვე 84 წლისაა. წერილი მივწერე, ვთხოვე, თუ შეძლებ თეთნულდზე წამოსვლას-მეთქი. პასუხი არ მიმიღია—უკვე ღრმა მოხუცია...

რაზმმა გზა განაგრძო. გამოჩნდა ბანაკის გასაშლელი ადგილი... ალპინისტებმა კლდის ქიმზე მჯდომი თოფიანი ადამიანის ფიგურა შეამჩნიეს. გაუკვირდათ: ასეთ უკაცრიელ ადგილას მონადირე რამ აიყვანაო? კაცი კი უძრავად იჯდა. მიუახლოვდნენ...

— აღსილ! — შესძახა ალექსანდრამ და ნაბიჯს აუჩქარა.

დიახ, ეს აღსილ ავალიანი იყო—84 წლის მოხუცი. როგორც კი მიუღია ალექსანდრას წერილი, თოფი აუღია, გუდა საგზლით გაუვსია და დანიშნული ადგილისაკენ წამოსულა.

ალპინიზმის ვეტერანები ერთმანეთს გადაეხვივნენ, მოიკითხეს.

— დავბერდი, ალექსანდრა, მუხლი აღარ მერჩის.—ამბობდა მოხუცი. — წამოგყვებოდით მწვერვალზე, მაგრამ თვალს დამაკლდა, ვშიშობ ზედმეტი ბარგი არ გავხდე.

28 აგვისტოს გაავდარდა. 29 აგვისტოს აღსილი სამშვიდობომდე ჩააცილეს და მტკიცედ გადაწყვიტეს — მეორე დღეს, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მწვერვალისაკენ გაეწიათ. საღამოს სეტყვა წამოვიდა, ჭექა-ქუხილი იყო, ელვა წუთით ანათებდა თეთნულდის თავს... ინათა თუ არა, ალპინისტები ციცაბო აღმართს შეუდგნენ.

გვერდი აუარეს სიმონისა და პიმენის დაღუპვის ადგილას აღმართულ ნიშს და სიმონის თავშესაფრის ძებნას შეუდგნენ. ქარს, ყინვებსა და ზვავებს რელიეფი იმდენად შეუცვლია, რომ გზა ვერ გაიგნეს. ვერც მარინა უთმელიძემ, რომელიც თეთნულდზე 1945 წელს იყო, თქვა გადაჭრით, თუ საით იყო სიმონის თავშესაფარი. მაშინ დიმიტრი ობოლაძემ ითავა და ყინულის კულუარს შეჰყვა, გასჭრა 60-მდე საფეხური, ავიდა ქედზე და გამოშვერილ კლდის ქიმს ქვეშ შეამჩნია ალუმინის ფირფიტა, რომელიც 1930 წელს ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, აღსილ ავალიანმა და იაგორა კაზალიკაშვილმა კლდეში დაამაგრეს.

ჯგუფი ქედზე ავიდა. უხმოდ მიუახლოვდნენ ალუმინის ფირფიტაში დამაგრებულ სიმონ ჯაფარიძის სურათს. მარინა უთმელიძემ ხმამაღლა წაიკითხა წარწერა: „კავკასიონის მწვერვალთა მესაიდუმლის — სიმონ ჯაფარიძის ხსოვნას, მისი დამსხვრეული მასწრაფების აღსადგენად, აქ მოსულ მისივე დაძმისაგან. ივლისი 1930 წ.“ ალუმინის ფირფიტის გვერდით დადგეს თბილისში დამზადებული მარმარილოს მემორიალური დაფა წარწერით: „სიმონ ჯაფარიძე, პიმენ დვალი 1929-54 წ.“.

— აბა, ახლა მწვერვალისაკენ! — მხნედ თქვა ალექსანდრამ. — ერთხელ კიდევ ვაგრძნობინოთ მას საბჭოთა ადამიანების ძალა.

კვლავ ქედი... შემდეგ მთასვლელებს ღრმა თოვლიანი ფერდობი და პირის ქარი გადაელობათ. რაზმს წინ ალექსანდრა მიუძღოდა. თმა შევერცხლილი ალპინისტი ქალი თამამად მიიკვლევდა გზას. კიდევ ცოტა და... თორმეტი მამაცი მთასვლელი ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდა.

დაიწყო დაშვება. ყველაფერი ზუსტად სრულდებოდა. შუაღამე იყო, როდესაც სოფელ ადიშს მიუახლოვდნენ. ალექსანდრამ ჯიბიდან შუშხუნა ამოიღო და ცეცხლი მოუკიდა. ჰაერში აიჭრა ცეცხლისმფრქვევი ვაზნა — „გამარჯვებული ვბრუნდებით“ — ნიშანი მისცა ადიშელებს. სოფლიდან თოფების გრიალი მოისმა. თურმე არც იქ ეძინათ.

— გამარჯვებას მოგილოცავთ! — ისმოდა კოშკების ქონგურებიდან, სახლების აივნებიდან...—ადიშელები მიესალმებოდნენ მამაც ალპინისტებს.

გ. კობაიძე

◆

ნორჩმა მძლეოსანმა ვ. ქიტინიოვამ მოსწავლეთა პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე შუბის ტყორცნაში პირველი ადგილი დაიკავა.

სურათზე: მწვრთნელი ო. ელიაშვილი თავის აღზრდილ ვ. ქიტინიოვასთან მორიგი მეცადინეობის დროს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

◆

ყოველი მხრიდან

უნგრეთის ფეხბურთის მოედნებზე

უნგრეთის ფეხბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი „ჰონვედი“ ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გაემგზავრა დანიაში, შვეციასა და ნორვეგიაში. „ჰონვედის“ შეხვედრა კოპენჰაგენში (დანია) ადგილობრივ ნაკრებთან აღინიშნა უნგრეთის ფეხბურთელთა უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს მატჩი — 4 : 0.

შვეციაში „ჰონვედის“ გუნდი გამოვიდა რამდენიმე პოპულარული კლუბის, მათ შორის „ნორჩეპინგისა“ და „მალმე ფფ-ს“ წინააღდეგ. პირველთან შეხვედრაში უნგრელებმა გაიმარჯვეს—5 : 0. გოლები გაიტანეს პუშკაშმა—ორი, კოჩიშმა, ბოჟიკმა და ციბორმა — თითო-თითო. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა „ჰონვედისა“ და შვეციის მრავალგზის ჩემპიონის „მალმე ფფ-ს“ მატჩი. ანგარიში კოჩიშმა გახსნა. პირველ ნახევარში ორივე გუნდის ცდა, შეეცვალათ იგი, ამაო გამოდგა. შესვენების შემდეგ ციბორმა გაიტანა მეორე ბურთი. მაგრამ შვედები ამან არ დააბნია. მათ უნგრელების კარზე რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს და ერთ-ერთი მათგანი ცენტრალურმა თავდამსხმელმა სანდელმა გოლით დააგვირგვინა. მატჩი დამთავრდა „ჰონვედის“ გამარჯვებით — 2:1.

* * *

სტოკჰოლმი. დაიწყო შვეციის 1954-55 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. მეორე ტურში საბჭოთა მაყურებლისათვის ცნობილმა გუნდმა „იურგორდენმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონზე „გაისის“ კლუბზე—5:1.

* * *

ერფურტი. 30 ათასამდე მაყურებელი ესწრებოდა „რუდე ზვეზდას“ (ჩეხოსლოვაკია) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონის „ტურბინას“ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას. პირველ 45 წუთში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. მხოლოდ მეორე ტაიმის უკანასკნელ წუთებზე გერმანელებმა გაიტანეს ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. გაიმარჯვა „ტურბინამ“ — 1:0.

ა. ბოისენი ამყარებს მსოფლიო რეკორდს

როგორც ცნობილია, 1.000 მეტრზე რბენაში ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის ამერიკელ უიტფილდს. იგი დამყარებული იყო 1953 წლის აგვისტოს ესკილსტუნში და უდრიდა 2 : 20,8. ამას წინათ ჰაელში (შვეცია) ნორვეგიელმა მძლეოსანმა ა. ბოისენმა ეს დისტანცია გაირბინა 2:19,5 და გააუმჯობესა უიტფილდის მსოფლიო რეკორდი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გასულ სეზონში ბოისენმა ბელგიელ მოექსთან ორთაბრძოლაში გააუმჯობესა უიტფილდის მიღწევა და აჩვენა შედეგი — 2:20,4. ბელგიელმა მაშინ მსოფლიო რეკორდზე 0,1 წამით უარესი შედეგი აჩვენა.

კონკურსზე შემოსული ამოცანებიდან

ი. კოტრიკაძე (ქუთაისი)



თეთრები: მფg6, ლa1, ეd2, კe8, კf6, მc2, მd4, პ ბი: b4. (8)

შავები: მფd5, პ-ბი: b5, b6, d3, d6, d7 (6)

შამათი ორ სვლაში.

ა. ტუღუჩავა, (ლანჩხუთი)



თეთრები: მფh2, ლb5, ეf2, ეf7, კd8, მc8, მe4, პ-ბი: c4, g3 (9)

შავები: მფe6, ეf8, კb7, კg7, მa6, მg8 პ-ბი: g6, h6 (8)

შამათი ორ სვლაში.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 8-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 15423